25/08/2025

MES 8 25 0001018295

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლა:
რევაზ ბასილაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ-ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა:
მაია კიკნაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა:
ირმა მენაბდე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლა:
მზია კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა:
ლელა არაბული - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის N2 საჯარო სკოლა:
ლია კაპანაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლა:
ზვიადი კუბლაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლა:
ნათია თევდორაძე - სკოლის დირექტორი
შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში:
მურათ ქორდემირ - სკოლის დირექტორი;
მანანა თურქაძე - სკოლის დირექტორთა საბჭოს წევრი.
შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი:
ბაკურ სულაკაური - აღმასრულებელი დირექტორი;
ლანა ორაგველიძე - სკოლის დირექტორი
შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმი:
ნანა ჩარექიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯაროსკოლა:
ა) თამარ ხატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დარეჯან ზარანდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა:
ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა გამსახურდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინე თეთვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) კახაბერ ფარცვანია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლა:
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირაკლი ტაბატაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა:
ა) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ვაჩეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ნადირაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეოდორა ლემონჯავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის N2 საჯარო სკოლა:
ა) მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მირანდა იაკობიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე ჭელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლა:
ა) ლევან ღურწკაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) პაშა გულორდავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლა:
ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გოგი თოდუა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნონა ლაგვილავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში:
ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ)იოსებ ლაზარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმი:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 11 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის N 911846 ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის N911846 ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის N 911846 ოქმში დაფიქსირებული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ,

- დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხის გადაწყვეტილების ნაწილში, ნაცვლად „სსიპ-ქალაქ ქუთაისის N34 საჯარო სკოლას (ს/კ: 212706749) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი“, მითითებული იყო „სსიპ-ქალაქ ქუთაისის თბილისის N34 საჯარო სკოლას (ს/კ: 212706749) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი“;
- დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხის გადაწყვეტილების ნაწილში, ნაცვლად „სსიპ- ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლას (ს/კ:212706044) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი“, მითითებული იყო, „სსიპ- ქალაქ

ქუთაისის თბილისის N37 საჯარო სკოლას (ს/კ:212706044) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი";

- დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხის ნარატიულ ნაწილში, მითითებული იყო-„ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 და 14 მაისს", ნაცვლად „ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 და 14 მაისს",შესაბამისად, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს, 2025 წლის 25 ივლისის N911846 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის N 911846 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის N 911846 ოქმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ოქმის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №34 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ქუთაისის N34 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14 და 15 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 450. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა “ნაწილობრივი” შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, თუმცა, შენობა იყო შემოსაზღვრული და მოსწავლეთა უსაფრთხოებას საფრთხე არ ემუქრებოდა. მისი თქმით, შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული და ჰქონდა სასწავლო პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსი.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა, შეეძლოთ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას, ასევე, დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, როდის ექნებოდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
სკოლის დირექტორის, ინგა ცირეკიძის თქმით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვების ვადები მასზე არ იყო დამოკიდებული, ხოლო პასუხისმგებელი ორგანოსგან მიღებული ჰქონდა ინფორმაციის თანახმად, სამ თვეში ექნებოდა სკოლას დასკვნა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, სკოლის ეზოში მდებარე უფუნქციო შენობების დემონტაჟთან მიმართებით გადადგმული ჰქონდათ თუ არა გარკვეული ნაბიჯები.
სკოლის დირექტორის განმარტებით, მათ მიმართული ჰქონდათ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან და ელოდნენ ნებართვას.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, რა ქმედითი ნაბიჯები ჰქონდა სკოლას გადადგმული საპირფარეშოების ადაპტირებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას საპირფარეშოების ადაპტირებისთვის საჭირო ყველა რესურსი ჰქონდა და სექტემბრის თვეში სრულად იქნებოდა მოწყობილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ქუთაისის N34 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 14:48

დასრულების დრო - 15:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ქალაქ ქუთაისის N34 საჯარო სკოლას (ს/კ:212706749) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩა №51
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩა №51
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩა №51

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2025 წლის სექტემბერში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, შშმ პირთათვის განკუთვნილი სველი წერტილების ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, 2027 წლის ივლისში შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების წარმოდგენა და 2026-2027 წლის სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბრის თვეში) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სრულად აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.“

„5. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14 და 15 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.

ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში განსაკუთრებული თანამშრომლობითი და ინკლუზიური გარემო იყო შექმნილი. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში შეიქმნა „ინკლუზიური განათლების კათედრა“, რომელიც აერთიანებდა 6 სპეციალურ მასწავლებელსა და 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტს. კათედრა ხელმძღვანელობდა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც გაწერილი იყო სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და განსაზღვრული იყო პასუხისმგებელი პირები. კათედრის წევრები სისტემატურად ატარებდნენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან და განიხილავდნენ ინკლუზიური განათლების ძირითად მიზნებს, მიდგომებსა და ამოცანებს. მისი თქმით, შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი ინვენტარით. სკოლის შესასვლელში მოწყობილი იყო პანდუსი. სკოლას ასევე ჰქონდა ლიფტი. შენობის ოთხივე სართულზე განთავსებული იყო ადაპტირებული სველი წერტილი, რაც საერთო ჯამში ქმნიდა ინკლუზიურ გარემოს.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში ფუნქციონირებდა კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებული იყო 29 კომპიუტერი და შემუშავებული ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა პროფესიულ კოლეჯ „იბერიასთან“ და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან, „რობოტიკისა და ტექნოლოგიური მეწარმეობის სკოლის“ ფარგლებში შექმნილი იყო „რობოტიკის კლუბი“, რომელიც ხორციელდებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი Fablab Iliauni • ფაბლაბ ილიაუნისთან თანამშრომლობითა და ამერიკის საელჩოს „ალუმნი“ საგრანტო პროგრამის მხარდაჭერით, რომელიც მიზნად ისახავდა უფროსკლასელებში საინჟინრო და ტექნოლოგიური დარგების პოპულარიზაციას. ასევე კლუბის მხარდამჭერი იყო Goal oriented Academy, რომელიც მოსწავლეებს უვითარებდა პროგრამირებისა და ტექნიკურ უნარებს. აღსანიშნავი იყო, რომ სკოლაში ექსპერტებს დახვდა 2 დრონი, “მეტა ქვესთის“ 3 D სათვალე, ჭკვიანი ადამიანის თავი, ჭკვიანი დაფა და რობოტი მანქანა. ყველა მათგანი მოსწავლეების საკლასო თუ კლუბური მუშაობის პროცესში იყო შექმნილი და გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში.
ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა კულტურულ, სახელოვნებო და შემეცნებით ღონისძიებებში. სკოლაში შექმნილი იყო არა ერთი კლუბი, მათ შორის „ევერესტი“, გეოგრაფიის კლუბი - „გეოგრაფები“, წიგნის კლუბი „წიგნის ჭიები“, „რობოტიკის კლუბი“ და სხვა.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობებიდან შესრულებული იყო თუ არა რაიმე.
ექსპერტმა, ნატო ოგანეზოვმა, აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი საკითხები დაკავშირებული იყო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის პროცესთან, შესაბამისად, ამ ეტაპზე ვერ იქნებოდა აღნიშნული აქტივობები განხორციელებული.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლას დასახვეწი ჰქონდა ისტორიისა და ესთეტიკის კურიკულუმები და უმჯობესი იქნებოდა მათი გამრავალფეროვნება და გაწერილი დავალებების დაკონკრეტება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 15:26
დასრულების დრო - 15:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლას (ს/კ:212706044) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქუჩა N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქუჩა N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქუჩა N5

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, 2026 წლის ივლისში 2.2 კომპონენტთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობისა და შესაბამისი რესურსებით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, ხოლო, 2027 წლის ივლისში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.“

„6. სსიპ - ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 და 14 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა გუნდურობა, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.
ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), 2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რატომ იყო რჩევის სახით გაწერილი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი.
ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას განხორციელებული ჰქონდა ყველა საჭირო ქმედება და მიღებული ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნულ დასკვნაში ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები და ამიტომ გაიწერა რჩევის სახით.
სკოლის დირექტორმა, თამარ ლოსაბერიძემ, აღნიშნა, რომ საგანგებო და სახანძრო უსაფრთოხების მიმართულებით დაწესებულებას ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები, აქვე, დასძინა, რომ რეკომენდაციების შესრულებას დაწესებულება ბიუჯეტიდან გამომდინარე ვერ შეძლებდა და დაფინანსების მიზნით, მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 15:58
დასრულების დრო - 16:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის თბილისის N123 საჯარო სკოლას (ს/კ: 211351963) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმ ანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმა ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, იოსებ იმედაშვილის ქუჩა N4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, იოსებ იმედაშვილის ქუჩა N4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, იოსებ იმედაშვილის ქუჩა N4

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში ხელოვნების მასწავლებლის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. „

2. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის. ექსპერტის თქმით, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ისწავლებოდა ორ შენობაში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხუცუბანი, ქუჩა 1, მე-9 ჩიხი და მე-17 ქუჩა, N 11).
ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახალ აშენებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა ადაპტირებული გარემო, ლაბორატორიები საგნების მიხედვით, ბიბლიოთეკა და სამკითხველო სივრცე, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი (რომელშიც ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ღონისძიება), ექიმის კაბინეტი. ხოლო მეორე შენობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია.
ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, ექსპლუატაციაში შესული იყო თუ არა სკოლის შენობა და ასევე, ვინაიდან სკოლის სტრატეგიულ მიზანს მოსწავლეთა მხარდაჭერა წარმოადგენდა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, როგორ მუშაობდა კლუბები და წრეები.
სკოლის დირექტორმა, რევაზ ბასილაძემ, აღნიშნა, რომ სურვილი ჰქონდათ სკოლის მეორე შენობაში განხორციელებულიყო სარემონტო სამუშაოები და ამ მიზნით მიმართული ჰქონდათ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის, ხოლო, ახალ გარემონტებულ შენობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მოპოვებული ჰქონდათ შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დასკვნა. მისი თქმით, სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული მოსწავლეთა წახალისების მიმართულებით. სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის ფუნქციონირებდა კლუბები, ეწყობოდა ექსკურსიები, იდგმებოდა სპექტაკლები და ა.შ.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლის მისიისა და ხედვის რევიზიასთან მიმართებით.

სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, ექსპერტთა ჯგუფის რჩევა გათვალისწინებული იქნებოდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმებთან მიმართებით ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ გასათვალისწინებელი რჩევები და დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ აღნიშნულის გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ნაირა ჯიჯავაძემ, აღნიშნა, რომ კათედრები შეიკრიბნენ და გაწერილი ჰქონდათ ის ეტაპები, რასაც განახორციელებდნენ სასწავლო წლის დაწყების დროს.
საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა, დაინტერესდა, როგორ განისაზღვრებოდა პრიორიტეტები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯთან „ახალი ტალღა“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით კი, განმარტა, რომ საჭიროების დადგენის შემდგომ, ხდებოდა ტრენინგ კურსების შეთავაზება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:33
დასრულების დრო - 14:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლას (ს/კ: 246994169) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხუცუბანი, ქუჩა 1, მე-9 ჩიხი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხუცუბანი ,მე-17 ქუჩა, N 11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხუცუბანი, ქუჩა 1, მე-9 ჩიხი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხუცუბანი, ქუჩა 1, მე-9 ჩიხი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრი სინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში (სასწავლო წლის დაწყებამდე) 3.2 კომპონენტთან მიმართებით პერსონალის მართვის გეგმის, ხოლო 3.4 კომპონენტთან მიმართებით 2026 წლის აგვისტოში შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის. ექსპერტის თქმით, დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა სამ შენობაში, მათგან სამივე მდებარეობდა სოფელ დაგვაში. N1 შენობაში

ხორციელდებოდა - ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სწავლება, N2 შენობაში მხოლოდ დაწყებითი და საბაზო და N3 შენობაში მხოლოდ დაწყებითი.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, მათ შორის: სასკოლო კლუბმა „თექა“ - რომელიც ეთმობოდა უძველესი ტრადიციის შესწავლას, ორჯერ მოიპოვა 2500 ლარიანი გრანტი პროგრამაში „საკლუბო მუშაობის ხელშეწყობა“; ასევე, გრანტი მოიპოვა სასკოლო კლუბმა „ხეზე კვეთა-სილოგრაფია“. მისი თქმით, ეკო-კლუბი ჩართული იყო ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში, სპორტის მიმართულებით მოპოვებული ჰქონდათ მრავალი წარმატება მაგიდის ჩოგბურთსა და გეზრბენში. ასევე, სკოლის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში, საიდანაც დაფინანსდა სკოლის ბიბლიოთეკის ტექნიკით აღჭურვა და წიგნადი ფონდის შევსება.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სამივე შენობა იყო კეთილმოწყობილი, ჰქონდათ ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი და დარბაზი, რესურს ოთახები (N1 და N2 შენობაში). აქვე, განმარტა, რომ სკოლის შენობებს ესაჭიროებოდა ადაპტირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა, დაინტერესდა, შეისწავლა თუ არა მათემატიკის ექსპერტმა, მასწავლებელთა ანგარიშები, ასევე, რის საფუძველზე იყო შედგენილი მასწავლებლის სამოქმედო გეგმა, ასევე, დაინტერესდა, შეისწავლა თუ არა ექსპერტმა მათემატიკის საშუალო საფეხურის კურიკულუმი და შემაჯამებლების ანალიზი.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნათია ორმოცაძემ, აღნიშნა, რომ შეისწავლა მათემატიკის მიმართულებით ყველა საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც კარგად იყო შედგენილი, სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ესაჭიროებოდა დახვეწა და ამ მიმართულებითაც გაცემული ჰქონდა რჩევა, ასევე, მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა შემაჯამებლის ანალიზთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებისთვის.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, რა მანძილზე იყო დაშორებული სკოლის შენობები და რა ვითარება იყო სამედიცინო ოთახებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, განმარტა, რომ N1 შენობაში იყო სამედიცინო ოთახი, ხოლო N2 და N3 შენობებში მოწყობილი იყო შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი სპეციალური კუთხე და გამოყოფილი იყო პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი ჰქონდა პირველადი დახმარების აღმოჩენის კურსები, ხოლო შენობებს შორის მანძილი, საშუალოდ 1.5 კილომეტრი იყო.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, შენობა-ნაგებობების ადაპტირებასთან დაკავშირებით მიმართული ჰქონდათ თუ არა აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთვის.

სკოლის დირექტორმა, მაია კიკნაძემ, აღნიშნა, რომ მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის, განხორციელდა სკოლაში ვიზიტი, გაკეთდა ხარჯთაღრიცხვა და ელოდებოდნენ შემდგომ ნაბიჯებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:04
დასრულების დრო - 15:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლას (ს/კ: 246994212) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი დაგვა. N1, N2 და N3 შენობა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი დაგვა. N1 და N2 შენობა
3		საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი დაგვა.

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			N1 შენობა.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის აგვისტოში, 3.1 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, მასწავლებელთა კვალიფიკაციების კანონმდებლობასთან შსაბამისობის მოყვანისა და სკოლის შენობების (სამივე შენობის) სრულად ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 450. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ხოლო, მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა მხარდაჭერას და ამ მიმართულებით შექმნილი იყო სხვადასხვა წრე, მათ შორის: ფრენბურთის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ქიმიის, ისტორიის და სხვა. სკოლას

გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან და ისწავლებოდა გიდის, კულინარიისა და სამკერვალო დიზაინის კურსები, დაწესებულება, ასევე, თანამშრომლობდა ოზურგეთის ტექნოპარკთან.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, წარმოადგინა სკოლი შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ შენობას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია. ჰქონდა კომპიუტერული მეცნიერებებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს ოთახი, სამედიცინო ოთახი და სხვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, როგორ ხორციელდებოდა სკოლაში პროექტული სწავლება და მისი შეფასება.
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ქეთევან პარუნაშვილმა, განმარტა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა პროექტული სწავლება და გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა, ხოლო შეფასება ხორციელდებოდა განმავითარებელი შეფასებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ზაზა მანიას თქმით, პროექტული სწავლების მიმართულებით გაცემული ჰქონდა რამდენიმე რჩევა.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სასურველი იყო პროექტული სწავლების გამრავალფეროვნება და მხოლოდ ესსეს დაწერით არ შემოფარგლულიყო აღნიშნული, ასევე, დავალებების შეფასების სისტემა უნდა ყოფილიყო ინდივიდუალური.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, აღნიშნა, რომ მე-12 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმს ესაჭიროებოდა რევიზია(კერძოდ, მეორე თემის დამატება). ასევე, დაინტერესდა, გაითვალისწინა თუ არა სკოლამ წყლის ავზის გავსებასთან დაკავშირებით გაცემული რჩევა.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ნინო ბურჯალიანმა, აღნიშნა, რომ თავდაპირველად კურიკულუმებს ჰქონდა ხარვეზი, ამ მიმართულებით გაცემული იყო რჩევები და სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მაღალი მზაობა.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ინსტრუქცია არ იყო სრულყოფილი.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ თავდაპირველად კურიკულუმებს გარკვეულწილად ჰქონდა ხარვეზი, თუმცა, გასაუბრების დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა და დაინტერესება და ვიზიტის ფარგლებში გადმოაგზავნილ იქნა გამოსწორებული დოკუმენტაცია, ასევე, რჩევა გაიცა შეფასების რუბრიკებთან მიმართებით.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, ექსპერტის მიერ წარმოდგენილი ფოტო-სურათიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რამდენად უსაფრთხო იყო სკოლის წინ გაზის მილის არსებობა.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიმართული ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოებისთვის და შემდგომი გარემოება გამოიკვეთებოდა დასკვნის საფუძველზე.
სკოლის დირექტორმა, ირმა მენაბდემ, აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით დაცული იყო ყველა სტანდარტი, თუმცა, დაზუსტებული ინფორმაციის მისაღებად, აუცილებლად მიმართავდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:45
დასრულების დრო - 15:56

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 237102032) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლიხაური.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლიხაური.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლიხაური.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 1.1, 1.2, 2.1 , 2.2 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით, სკოლის ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავების, სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებისთვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმების ასახვის, სტრატეგიული გეგმის დამტკიცების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს, სამეურვეო საბჭოს ოქმში ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის, შესაბამისი სტატუსების მიხედვით

მასწავლებლებთან ხელშეკრულების გაფორმების, პირად საქმეებში სავალდებულო ნასამართლეობის ცნობების, შიდა რეგულაციაში დასაქმებულთა პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის განსაზღვრისა და ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების, ხოლო 2027 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შიდა და გარე პერიმეტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვისა და ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის შენობა საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას, ჰქონდა წყლის მომარაგების, ელექტრო გაყვანილობის პრობლემა, ასევე, მოსწავლეთა კონტიგენტის უმრავლესობა იყო არაქართულენოვანი, თუმცა, ენობრივი ბარიერი არ ჰქონიათ.
ექსპერტმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას შესასვლელში ჰქონდა პანდუსი, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს ოთახი, თუმცა, საერთო ჯამში სკოლას ესაჭიროებოდა მხარდაჭერა და მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, რომ შეზღუდული რესურსის ფარგლებშიც კი მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეთა მხარდაჭერას და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლას გადადგმული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, რა ვითარება იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სპორტის მასწავლებლების დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, მზია კაპანაძემ, აღნიშნა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსიები და ელოდნენ მასწავლებელთა გამოცდის შედეგებს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, როგორი იყო მხარდაჭერის სისტემა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, ასევე, რა მდგომარეობა იყო სკოლის შენობის გამაგრებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, მზია კაპანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის შენობას ბზარები აღენიშნებოდა 90-იანი წლიდან, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაში კი ასახული იყო, რომ სკოლის შენობა არ იყო ავარიული, დამონტაჟებული იყო ყალაურები და ბზარების მოცულობა არ იზრდებოდა. მისი თქმით, არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის შეთავაზებული იყო სხვადასხვა კლუბი, წრე, ექსკურსია და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:26
დასრულების დრო - 16:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის საჯარო სკოლას (ს/კ: 225389399) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმ ანათლებლო	ზოგადსაგანმა ნათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა თამარისი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა თამარისი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა თამარისი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 3.1 კომპონენტთან მიმართებით, ექთნის შტატზე სათანადო კვალიფიკაციის პირის შერჩევის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების (საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სპორტის) დასაქმების, 2.2, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით კი, 2027 წლის აგვისტოში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისა და ადაპტირებული გარემოს შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 და 11 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა

ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა ექიმის ოთახი, ადაპტირებული გარემო, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, IT ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი და სხვა, საგანმანათლებლო სერვისის შეუფერხებლად მიწოდებისთვის საჭირო რესურსი.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა პანსიონი და ამ მიზნითაც შექმნილი იყო შესაბამისი გარემო.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი აქტივობებით, საწრეო და საკლუბო მუშაობით. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ ინტერესების შესაბამისად გაწევრიანებულიყვნენ სხვადასხვა კლუბსა და წრეში.
ექსპერტის თქმით, სკოლაში, შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტით ფუნქციონირებდა „საბავშვო უნივერსიტეტი“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში, ასევე, არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
ექსპერტის, ნანა ედიშერაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში სწავლობდა 34 მოსწავლე, რაც შეეხებოდა არაფორმალურ განათლებას, ექსპერტის თქმით, უსასყიდლოდ შეთავაზებული იყო „საესტრადო სიმღერის წრე“; „ქართული ხალხური სიმღერების წრე“ და სხვა.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა არაბულმა, განმარტა, რომ წარმოდგენილი ჰქონდათ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით, პასუხად, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს შესწავლილი ჰქონდათ აღნიშნული დოკუმენტი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, როდესაც სკოლა მსგავსად უფრთხილდებოდა რესურსებს და ზრუნავდა მუდმივ განვითარებაზე, აქვე, საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ შოთა რუსთაველის ფონდის მხარდაჭერა იყო მნიშვნელოვანი მოტივაცია სკოლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:54
დასრულების დრო - 17:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლას (ს/კ: 229281363) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარისახო.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარისახო.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარისახო.

7. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და ადაპტირებული გარემო, ჰქონდა ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.

ექსპერტმა, მაია ბუაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებას და დამატებით სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობდა ჭადრაკის კლუბსა და მათემატიკის წრეს, ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა მკითხველთა კლუბი. სასწავლო წლის განმავლობაში იმართებოდა სხვადასხვა ინტელექტუალური თამაში და სხვა. ექსპერტის, მაია ბუაძის თქმით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი კოლეჯთან „ფაზისი“, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა და განხორციელდა არა ერთი საინტერესო აქტივობა, მათ შორის განხორციელდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი კოლეჯში, ასევე, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და კადეტთა ლიცეუმში.

ექსპერტმა, მაია ბუაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას ექიმის აყვანასთან და შენობის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, ლია კაპანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული ექიმი გადიოდა სასწავლო კურსებს, დეკემბრის თვეში გადიოდა შესაბამის გამოცდაზე და იმ შემთხვევაში, თუ გამოცდაზე არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი შედეგი, გამოაცხადებდნენ ვაკანსიას. მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მიმართული ჰქონდა შესაბამისი ორგანოსთვის და ელოდნენ პასუხს და თანმიმდევრულად გადადგავდნენ შესაბამის ნაბიჯებს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, სწავლების რომელ საფეხურზე და რა საგნებში ახორციელებდა სკოლა სადიაგნოსტიკო ტესტირებები.
სკოლის დირექტორის თქმით, 2024-2025 სასწავლო წელს სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდა მე-6-დან მე-12 კლასების ჩათვლით, ყველა საგანში, გარდა სპორტისა, ხოლო, მისი თქმით, 2025-2026 სასწავლო წელსაც აპირებდნენ იმავე გამოცდილების გაგრძელებას და შემდგომ უკვე განახორციელებდნენ შედარებასა და ანალიზს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:24
დასრულების დრო - 17:32

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 244556994) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი, რუსთაველის ქუჩა N18.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი, რუსთაველის ქუჩა N18.

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი, რუსთაველის ქუჩა N18.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის აგვისტოში, 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერისა და საბიბლიოთეკო ფონდის სრულყოფილი მატერიალური და ელექტრონული რეესტრის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ ხრესილის ბრძოლის დღესთან დაკავშირებით იმართებოდა გრანდიოზული ღონისძიება.
ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიები, ადაპტირებული სველი წერტილი, პანდუსი და ლიფტი, ექიმის ოთახი, რესურს ოთახი (საჭიროებდა დამატებით რესურსებს).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, რატომ ჰქონდა სკოლას 6 სტრატეგიული მიზანი ნაცვლად 4 ისა, რა მდგომარეობა იყო ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით და რამ გამოიწვია სტრატეგიული მეთოდოლოგიის გადამტკიცება.
სკოლის დირექტორმა, ზვიად კუბლაშვილმა, განმარტა, რომ წარმოდგენილი ჰქონდათ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამაც), გადამტკიცებასთან დაკავშირებით კი, განმარტა, რომ განახორციელეს გარკვეული ცვლილება და ამან გამოიწვია აღნიშნული, თუმცა, გაითვალისწინებდნენ რჩევას და გამოასწორებდნენ, მიზნების რაოდენობის შესახებ კი აღნიშნა, რომ 6 მიზანი ტექნიკურად ჩარჩენილი იყო მეთოდოლოგიაში და ამ ნაწილსაც გაითვალისწინებდნენ.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ სპორტის მიმართულებით გაცემული იყო მრავალი გასათვალისწინებელი რჩევა და დაინტერესდა, როგორ ხდებოდა მოსწავლეთა შეფასება და რა პროექტები ჰქონდა სკოლას განხორციელებული სამივე საფეხურზე.
სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა, ქეთევან ქობალიამ, აღნიშნა, რომ განმავითარებელი შეფასება ხდებოდა თემებისა და ჩართულობის მიხედვით, მისი თქმით, ჯანსაღი ცხოვრების თემაზე მოსწავლეები აკეთებდნენ პრეზენტაციას და დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი ჰქონდა სკოლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:55
დასრულების დრო - 18:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლას (ს/კ: 219634769) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხრესილი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხრესილი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხრესილი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისობაში მოყვანის, რეფერირების დამტკიცებული წესის, ხოლო 2026 წლის აგვისტოში 2.2, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებდასკვნების , საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 170. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 170 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს ოთახი, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია და სხვა. მისი თქმით, სკოლაში შექმნილი იყო ჯანსაღი გარემო, სასკოლო საზოგადოება ორიენტირებული იყო სკოლის განვითარებაზე.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას მანდატური.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა მანდატური, თუმცა, ჰქონდა მიმართვა და პასუხად მიღებული, რომ ახალი სასწავლო წლისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა აღნიშნულიც.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, რა ვითარება იყო ექიმის დასაქმებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, ნათია თევდორაძემ, აღნიშნა, რომ ექთნის შტატი ჩანაცვლდა ექიმის შტატით და დასაქმებული ჰყავდათ ექიმი მისი თქმით, სკოლას ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ეყოლებოდათ მანდატურიც.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, სკოლის სახელიდან გამომდინარე, დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა რაიმე სახის კავშირი აფხაზეთთან.
სკოლის დირექტორის, ნათია თევდორაძის თქმით, სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა დიდი რიცხვი იყო აფხაზეთიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:26
დასრულების დრო - 18:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას (ს/კ: 249259136) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N6ა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N6ა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N6ა.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ადმინისტრირებისა და ექიმის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10. შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, აღნიშნა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, ვინაიდან დასაქმებული იყო აღნიშნულ სკოლაში. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17,18 და 19 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე, ქალაქ თბილისში და ქალაქ მარნეულში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500 (250 მარნეულის მისამართზე, ხოლო 250 თბილისში). აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო სკოლის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნა, რომ ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში დაარსდა 2019 წელს მაარიფის ფონდის ხელშეწყობით. მაარიფის ფონდი დაარსებული იყო თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებით და მსოფლიო მაშტაბით ახორციელებდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას. მისი თქმით, სკოლაში დილა იწყებოდა აერობიკით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, შემდგომ მოჰყვებოდა 15 წუთი კითხვის დრო და საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე წიგნს კითხულობდა ყველა მოსწავლე, მასწავლებელი და თანამშრომელი.

ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ორივე შენობა აღჭურვილი იყო ყველა საჭირო მატერიალური რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა სახელმწიფო ენის შესწავლისა და არაფორმალური განათლების მიმართულებით რა აქტივობები ჰქონდა სკოლას დაგეგმილი.

ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, განმარტა, რომ მარნეულის კამპუსში მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მაქსიმალურ ძალისხმევას დებდნენ ქართული ენის შესწავლისთვის.

სკოლის წარმომადგენელმა, მარი ბობოხიამ, აღნიშნა, რომ სახელმწიფო ენის შესწავლას ეთმობოდა განსაკუთრებული ყურადღება და ამ მიზნით შექმნილი იყო სასკოლო კლუბები, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად, იღებდნენ

მშობლებიც, აქვე, მისი თქმით, დაწესებულება თანამშრომლობდა სხვა სკოლებთანაც და მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩართულობით იმართებოდა კონფერენციები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილ, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, დგებოდა თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის.
სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ყოველ ზაფხულს წინასწარი რეგისტრაციით იწყებდნენ მოსწავლეების ჩარიცხვას და იმ შემთხვევაში თუ დადგებოდა საჭიროება, ყველა მოსწავლისთვის შეთავაზებული იყო ქართული ენის ცოდნის ასამაღლებელი უფასო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 - ით განსაზღვრის საკითხი, მათგან თბილისის ფილიალში 250 და მარნეულის ფილიალში 250.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:53
დასრულების დრო - 19:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ის (ს/კ: 400147541) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით, რომელთაგან 250 მოსწავლე განესაზღვროს ქალაქ თბილისში, ხოლო 250 მოსწავლე ქალაქ მარნეულში. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ლისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა N15; ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1.
2		საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლისი,ლეო კვაჭაძის ქ. N15;

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა N15; ქალაქი მარნეული, გოგებაშვილის ქუჩა N1.

11. შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტოკველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 ივნისს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც, სასწავლო პროცესის განხორციელებაში სისტემატურად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, ნაცვლად მასწავლებლებისა. კორესპონდენციის ავტორის შეფასებით, აღნიშნული პრაქტიკა განხორციელებული იყო შპს „საქართველოს განათლების ჯგუფის“ მითითებით, რომელიც ფლობდა სკოლის საწესდებო კაპიტალის 90%-ს და მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო პროცესებზე ხარჯის შემცირებას, რაც იწვევდა ხარისხის გაუარესებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი იყო ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა და შესაბამისობის დადგენა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მე-3 სტანდარტის შემოწმება (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), რომელიც შეფასებულ იქნა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის თქმით, 2019 წლის 21 ოქტომბერს სკოლა დარეგისტრირებული იყო, როგორც „მწვანე სკოლა“, 2024 წლის 26 მარტს შპს „მწვანე სკოლამ“ შეიცვალა სახელწოდება და გახდა შპს „მწვანე სკოლა-ნაძალადევი“, ხოლო 2024 წლის 28 ნოემბერს კვლავ შეიცვალა სახელწოდება და გახდა შპს „მწვანე სკოლა-ტყის კამპუსი“, თუმცა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დროულად არ მიუწოდებია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის და ვინაიდან დაწესებულება ვალდებულია სახელის შეცვლის შესახებ ინფორმაცია ცენტრს მიაწოდოს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, დარღვეული იყო 3.1 ინდიკატორი. 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ოთხი ძირითადი მასწავლებლის (ნ.პ; თ.ქ; ს.ჩ და ა.ხ) აკადემიური კვალიფიკაცია არ

შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს ან საგნობრივ ჯგუფს რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ზოგადი განათლების შესახებ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, სკოლის მიერ მასწავლებლის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული იყო ი.მ-სთან ჯერ კიდევ სტუდენტთან, რაც ასევე წინააღმდეგობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში სამ პედაგოგთან (ნ.კ; მ.ხ და ნ.ხ) გაფორმებული იყო მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით დასაქმების ხელშეკრულება, ხელშეკრულების თარიღებიდან გამომდინარე, ირკვეოდა, რომ ორ პედაგოგთან გასული იყო კანონით დადგენილი ორ წლიანი ვადა, რაც წყვეტდა კანონიერ უფლებას, რომ ემუშავათ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით. 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ არ იყო დადგენილი და დამტკიცებული მასწავლებლის ასისტენტის პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესაბამისად, ვერ ხდებოდა პოზიციის შესაბამისი კადრების შერჩევის პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ განხორციელება. ასევე, მასწავლებელთა უმრავლესობას არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ისინი არ იყვნენ ნასამართლევნი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის. მისი თქმით, ორი წამყვანი მასწავლებლის შრომით ხელშეკრულებებში არ იყო ასახული მინიმუმ ოთხი სავალდებულო ფუნქცია, რაც ეწინააღმდეგება N174/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, დარღვეული იყო საქმისწარმოების წესი. ასევე, დარღვეული იყო 3.6.3 კომპონენტი. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რატომ იყო დარღვეული მასწავლებლობის მაძიებლობის მსურველ მასწავლებლებთან ხელშეკრულების ვადები, ასევე, დაინტერესდა, ვიზიტამდე გამოცხადებული ჰქონდა თუ არა სკოლას მასწავლებელთა ვაკანსიები.

გენერალურმა დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა, აღნიშნა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსიები, თუმცა, ექსპერტი, ქეთევან ბოტკოველი აღნიშნულს არ ადასტურებდა.

სკოლის წარმომადგენელმა, ბაკურ სულაკაურმა, განმარტა, რომ ყველა ხარვეზი იყო აღმოფხვრილი. მისი თქმით, სკოლაში მხარდამჭერ მასწავლებელს, ასისტენტსა და ტუტორს ჰქონდა ერთი და იმავე ფუნქცია-მოვალეობები. მასწავლებელთა კვალიფიკაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მეორე სემეტრში, ოთხმა მასწავლებელმა სხვადასხვა მიზეზით დატოვა პოზიცია და საჭირო გახდა მათი ჩანაცვლება, შესაბამისად, გარკვეული პროცესების გართულების თავიდან არიდების მიზნით, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საგნები ესწავლებინათ ტუტორ მასწავლებლებს, რომელთაც ჰქონდათ სკოლაში მუშაობისა და მოსწავლეებთან ურთიერთობის გამოცდილება.

საბჭოს მდივანი დაინტერესდა, გამოცხადებული ჰქონდათ თუ არა შიდა ვაკანსია. სკოლის წარმომადგენელმა, ბაკურ სულაკაურმა, აღნიშნა, რომ გამოცხადებული არ ჰქონდათ შიდა ვაკანსია, ვინაიდან სკოლაში იმ დროისთვის არც ერთ მასწავლებელს არ ჰქონდა თავისუფალი დრო.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რატომ არ იყო ადგილზე მასწავლებელთა პირადი საქმეები.

სკოლის წარმომადგენელმა, ბაკურ სულაკაურმა, აღნიშნა, რომ პირადი საქმეები იყო ფიზიკურად, თუმცა არ იყო დანომრილი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი ყველა პირადი საქმე და ვიზიტის შემდგომ გადმოაგზავნეს არა ყველა მასწავლებლის პირადი საქმე, არამედ რამდენიმესი.

სკოლის დირექტორმა, ლანა ორაგველიძემ, აღნიშნა, რომ ყველა მასწავლებლის ხელშეკრულება არ იყო მოთხოვილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პასუხად, ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა მას განუცხადა, რომ ყველა დოკუმენტაცია იყო სხვა შენობაში.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა აპირებდა თუ არა სკოლა ვაკანსიების გამოცხადებას.
სკოლის დირექტორის, ლანა ორაგველიძის განმარტებით, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსიები და დაასაქმეს ორი მასწავლებელი და სამომავლოდაც აპირებდნენ ვაკანსიის გამოცხადებას. აქვე, განმარტა, რომ სკოლამ შეცვალა საქმისმწარმოებელი და აღნიშნული დოკუმენტაცია სწორედ ამიტომ იყო სხვა შენობაში განთავსებული, ხოლო საბჭოს ჩატარების დროისთვის აღმოფხვრილი იყო ყველა ხარვეზი.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მიუღებელი იყო, ყველაზე მნიშვნელოვანის, საგაკვეთილო პროცესის მართვა ყოფილიყო ტუტორი მასწავლებლის პასუხისმგებლობა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ასევემ აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე არ იყო გამოქვეყნებული სტანდარტით განსაზღვრული ყველა საჭირო ინფორმაცია.
სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა, აღნიშნა, რომ შპს „მწვანე სკოლას“ ჰქონდა ცალკე ვებ-გვერდი, ხოლო შპს „მწვანე სკოლა-ტყის კამპუსს“ ცალკე ვებ გვერდი, მისი თქმით, ყველა საჭირო ინფორმაცია განთავსებული იყო შპს „მწვანე სკოლის“ ვებ გვერდზე. აქვე, სტუდენტ მასწავლებლებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნამდვილად ჰყავდათ ერთი სტუდენტი, რომელსაც შემოდგომის სემესტრში უნდა დაესრულებინა სწავლა მათემატიკის მიმართულებით, თუმცა, მოგვიანებით მობილობის მეშვეობით გადავიდა ფიზიკის ფაკულტეტზე, აღნიშნულის თაობაზე კი არ აცნობა სკოლას, აღნიშნული პიროვნება კი გათავისუფლებული იყო სამსახურიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 19:52
დასრულების დრო: 20:01

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „მწვანე სკოლა-ტყის კამპუსის“ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მწვანე სკოლა-ტყის კამპუსის (ს/კ: 404587185) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ივნისიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი; მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები); მე-3 და მე-4 სტანდარტები.

12. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 20 ივნისს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა 2025 წლის 13 მაისს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შესული წერილი, რომელსაც თან ერთვოდა განცხადება შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის (შემდგომში - სკოლა/დაწესებულება) მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. განმცხადებელს წარმოადგენდა ამავე სკოლის უკვე ყოფილი მოსწავლის მშობელი.
განმცხადებელი განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მისი შვილი ზემოთ ხსენებულ სკოლაში ირიცხებოდა 2024-2025 სასწავლო წლის სექტემბრიდან. განცხადებაში საუბარი იყო განმცხადებლის შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე, კერძოდ, მასწავლებელმა ბავშვი ცალ ფეხზე დგომით დასაჯა აქტიურობის გამო. მშობელი წერდა, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, დაურეკა პედაგოგს და გამოჰკითხა საერთო მდგომარეობა, საუბრის დასრულებისას კი მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მასწავლებლის მხრიდან სადამსჯელო ღონისძიება არ განმეორებულა. განცხადებაში მშობელი აღწერდა, რომ ამ ფაქტიდან 2 კვირის შემდეგ, სკოლის საპირფარეშოში სკოლის პერონალმა მის შვილს აიძულა აეკრიფა სხვისი გამოყენებული ქაღალდები და ბავშვს ისე შეეშინდა, რომ ხელის დაუბანლად დატოვა სველი წერტილი. მშობელი წერდა რომ დღემდე არ იცოდა აღნიშნული პერსონალის ვინაობა. მშობელი ასევე, აღწერდა, რომ სკოლის შიდა ეზოში შეესწრო ფაქტს, როდესაც სკოლის პერსონალი ხელით ეხებოდა ბავშვს - უშუალოდ მის სამოსს, რაზეც მშობელს ჰქონდა მყისიერი

რეაქცია და აუხსნა, რომ ეს არ შეიძლებოდა. ამის შემდეგ, მშობელი შეხვდა სკოლის დირექტორს,
დეტალურად მოახსენა ბავშვთან არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ და სთხოვა რეაგირება. განცხადებაში საუბარი იყო, რომ კლასში, პირველივე დღიდან იყო ქცევის პრობლემები, აგრესიით გამოირჩეოდა ერთ-ერთი მოსწავლე, რომელსაც ჰქონდა სპორტული გამოცდილება. ამ ფონზე, დირექციის გადაწყვეტილებით პარალელური კლასიდან გადმოყვანილ იქნა მოსწავლე, რომელიც გამოირჩეოდა რთული ქცევით. აღნიშნულთან დაკავშირებით, დირექციის მიერ შერჩეულ დროს ჩაინიშნა მშობელთა კრება, თუმცა კრებაზე მხოლოდ კლასის დამრიგებელი მივიდა. კლასის დამრიგებელი იმპერატიული ტონით ითხოვდა პასუხს
კითხვაზე: რატომ განიხილავდნენ მშობლები ჩატში სკოლის პრობლემებს.
ექსპერტის თქმით, განმცხადებელი წერდა, რომ კრებაზე მან მშობლებს გააცნო ის ფაქტები, რაზეც მანამდე ისაუბრა დირექციასთან და რომ არავინ დაჰკავშირებია დირექციიდან და მის შვილთან დაკავშირებულ ინციდენტზე არავის უცნობებია დამატებითი დეტალები. განცხადებაში საუბარი იყო იმაზე, რომ მშობლების მიზანი იყო იმ მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, რომელსაც დისონანსი შეჰქონდა კლასში და არ ჰქონდათ პრეტენზია მასწავლებელთან.
მშობელი წერდა, რომ დამრიგებელს სთხოვა გამოეჩინა მეტი სიფრთხილე ბავშვებთან მიმართებით, რადგან მან აგრესიულ მოსწავლეზე პრეტენზიით მისულ განმცხადებლის შვილს უპასუხა, რომ მეორე მოსწავლე ამას არ იზამდა. განმცხადებელი უთითებს, რომ ბავშვმა ეს ფრაზა აღიქვა ტყუილის თქმის ბრალდებად, რის გამოც აღარ მიმართავდა მასწავლებელს დახმარების თხოვნით.
განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, არასასურველი ქცევა გამოავლინა მისმა შვილმაც, რის შემდეგაც ერთ-ერთ მშობელთან ერთად ისევ შეხვდა დირექტორს და მოითხოვა ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა შეცვლილიყო სიტუაცია, რაზეც პასუხად მიიღო, რომ მხოლოდ მშობელთა კოლექტიური განცხადება იყო გამოსავალი, რაც მოსწავლის გარიცხვას გულისხმობდა. ისევ გაიმართა მშობელთა კრება,რომელზეც სასწავლო ნაწილმათქვა, რომ თუ ბავშვებს გადაიყვანდნენ, ამით მათ ფსიქიკას ზიანს მიაყენებდნენ.
განმცხადებელი წერდა, რომ მშობელთა კრებაზე გადაწყდა, რომ კლასთან იმუშავებდა ინგლისურნოვანისექტორის ფსიქოლოგი, შედგებოდა დაკვირვების პროცესი და დასკვნა რეკომენდაციის სახით გადაეგზავნებოდა მშობლებს.
განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ პრობლემის მოგვარების იმიტაციის მიზნით, ადმინისტარცია მშობლებს არწმუნებდა, რომ მათი რეკომენდაციით პრობლემური ბავშვი გადიოდა ფსიქოთერაპიის კურსს. პედაგოგმა არაერთხელ უთხრა მშობელს, რომ მართავდა სიტუაციას და ჰქონდა ურთიერთობა ბავშვის ფსიქოლოგთან. განცხადებაში საუბარია, რომ ბავშვის მშობელმა არ დაადასტურა ფსიქოთერაპიის ფაქტი.
განცხადებაში საუბარი იყო, რომ ბოლო პერიოდში ხდებოდა მოსწავლეების კლასში მასწავლებლის გარეშე დატოვება, ღია ინტერნეტკავშირის მქონე ტელევიზორთან, რომელსაც მოსწავლეები, მშობლების მიმართვის დღემდე თავისუფლად რთავდნენ. ასევე, იყო ტანისამოსის ქიმიური ნივთიერებით დაზიანების არა ერთი ფაქტი, არადამაკმაყოფილებელი იყო მოსწავლეთა კითხვის დონე, განვლილი მასალა კი გეგმას ჩამორჩებოდა.
ექსპერტებმა შეისწავლეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, განახორციელეს ინტერვიუები და აღნიშნა, რომ დამრიგებელი არ ადასტურებდა საჩივარში მოყვანილ გარემოებებს, მსგავსი ფაქტის შესახებ, მშობლები არ ფლობდნენ ინფორმაციას და პირიქით, მასწავლებელს ახასიათებდნენ კარგად. საპირფარეშოში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ დირექტორმა მშობლისგან ინფორმაცია მიიღო რამდენიმე თვის შემდეგ, ასევე, მშობელი ვერ ასახელებდა კონკრეტულ პერსონალს, შესაბამისად რთული იყო იდენტიფიცირება. დირექციამ გამოკითხა მანდატურები, რომლებმაც უარყვეს მსგავსი ფაქტის არსებობა.

სკოლის შიდა ეზოში სკოლის პერსონალის მხრიდან ბავშვის ტანისსამოსზე ხელით შეხებასთან დაკავშირებით, დირექციამ გადაამოწმა ვიდეო კამერების ჩანაწერი და მსგავსი ფაქტი არ ფიქსირდებოდა. მშობელმა ინციდენტის მონაწილედ დაასახელა დამლაგებელი, თუმცა, დამლაგებელმა მსგავსი ფაქტის არსებობა არ დაადასტურა. ექსპერტის თქმით, სკოლის დირექციამ, კლასის დამრიგებელმა და მშობლებმა, დაადასტურეს, რომ კლასში იმყოფებოდა რთული ქცევის მქონე მოსწავლე, თუმცა, მუშაობდნენ აქტიურად, ჩართული იყო სკოლის ფსიქოლოგი და გეგმავდნენ სხვადასხვა აქტივობასა.
ექსპერტის, ია ქურიძის თქმით, ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლის დირექცია მყისიერად მუშაობდა პრობლემების აღმოფხვრაზე და მიღებული ჰქონდა გარკვეული ზომები, მასწავლებლები იღებდნენ მონაწილეობას პრობლემის აღმოფხვრის სტრატეგიის შემუშავებაში.
ასევე, დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია დროულად მიეწოდებოდათ მშობლებს, მშობლები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში, მშობლების შეფასებით, მოსწავლეებს ჰქონდათ კლასისა და დამრიგებლის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, აქვე, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მხოლოდ 3.4 კომპონენტი.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, დასკვნაში ასევე დეტალურად ასახული იყო ვიზიტის დროს გამოვლენილი ყველა გარემოება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 20:25
დასრულების დრო: 20:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში-ის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში-ის (სკ: 445740075) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, განმარტა, რომ საბჭო დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას და მასში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს, და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ის, რომ ვიზიტის დროს არ დადასტურდა განცხადებაში აღნიშნული გარემოებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 20:35 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე